სამშაბათი, 9 მარტი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-დამეერვე 1904 სამშაბათი, 9 მარტი 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12 თვით . .	10 მ.	— კ.
11 ,, . .	9 ,,	50 ,,
10 ,, . .	8 ,,	75 ,,
9 ,, . .	8 ,,	— ,,
8 ,, . .	7 ,,	25 ,,
7 ,, . .	6 ,,	50 ,,
6 ,, . .	6 ,,	— ,,
5 ,, . .	5 ,,	50 ,,
4 ,, . .	4 ,,	75 ,,
3 ,, . .	3 ,,	50 ,,
2 ,, . .	2 ,,	75 ,,
1 ,, . .	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 62 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 62

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზე ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

რედაქციისაგან

პირველ მარტიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 8 მან. 75 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ლალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.

ლალატი

თავ. ალ. სუმბათაშვილის დრამა ლეგენდა,
თარგმ. გრ. ყიფშიძისა.
წარმოდგენილი იქნება
შაბათს, 13 მარტს
ქართულს თეატრში
ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ

დაკლებულის ფასებით: პარტერი 40 კაპ.-დან 1 მ. 50 კაპ.-მდე, გალერეია 20 კ.—35 კაპ., ლოჟები 4 მან. 7 მან.-მდე.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცველაძე.**

ექიმთა, ადვოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.

,,ივერიის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, საჭიროდ სცნო ჰბეჭდოს ხოლმე ამა თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, აარსებს რა გაზეთ ,,ივერიაში“ ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ დღე შეუძლიანთ,—დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ **ხუთი მანეთი** (5 **მან.**).

იმპერიის საგუბერნიო სათავად-აზნაურო საკრებულონი შეერთდნენ ომში დაჭრილთა, მოკლულთა და მათ ოჯახთა დასახმარებლად. ამ აზრით გამართულ იქმნა საყოველთაო, წოდება-განურჩეველი ხელის მოწერა შემოწირულებათა მისაღებად. შემოწირულება მიიღება ფულად და ნივთებად. საქმის მოწყობა მინდო მთავარ-კომიტეტს მოსკოვში. კომიტეტის თავმჯდომარედ არის მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი პ. ნ. ტრუბეცკოი. კომიტეტში მონაწილეობას იღებენ ნდობამოსილნი კაცნი, ამორჩეულნი თითოეულ გუბერნიის თავად-აზნაურობის-მიერ.

ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საკრებულომაც გადასდო ამ საქმისათვის უკვე ცნობილი რაოდენობა ფულისა და ჰზრუნავს ახლა, მოამზადოს ისეთი ნივთები, რომელიც საჭიროა ქსენონთა და სამხედრო სამკურნალოთათვის.

ნება-ყოფლობითის შემოწირულებათა მისაღებად და დასამზადებელ ნივთთა მასალის შესაძენად შედგენილ იქმნა კომიტეტი გენერალ-მაიორის თ-დის ივანე სულხანის-ძის ჭავჭავაძის თავსმჯდომარეობით. წევრად იქმნენ არჩეულნი: თ-დი ლევ. გ. ჯანდიერი, გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი, გ. ს. განძიელი და დ. ზ. სარაჯიშვილი.

იმ ქალებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ნივთების დამზადებაში პირადის შრომით მონაწილეობა მიიღონ, სთხოვენ მიჰმართონ ქალთა კომიტეტის სახელოსნოს (გრიბოედოვის ქუჩა, სახლი კნ. ქობულაშვილისა) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

შეწირულებანი მიიღება მხოლოდ თავსმჯდომარის და კომიტეტის წევრთა მიერ.

თავსმჯდომარე კომიტეტისა, თ. ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე, მიიღებს შემოწირულებასა და იმათაც, ვისაც მასთან საქმე ექნება, ყოველ-დღე 10—12 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბითობით და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

თ. ლ. გ. ჯანდიერი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი მიიღებს ყოველ დღე 10 3 საათამდე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გ. ს. განძიელი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე სამეურნეო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

დ. ზ. სარაჯიშვილი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის კანტორაში (ოლღის ქუჩა), ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1 2 საათამდე.

(30—6.—9).

ქართული თეატრი

სამშაბათს, 9 მარტს,
ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ
ბ-ნის ვლ. ალექსი-მესხიშვილის
მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება

I

ურიელ აკოსტა

ტრაგედია 5 მ. გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: დავითაშვილი, ნებიერიძისა; ბ-ნნი ვლ. ალექსი მესხიშვილი, ბაქრაძე, ბარველი, გვარაძე, ივანიძე, იმედაშვილი, იორდანაშვილი, მატარაძე, სარჯველაძე, საფაროვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზედ.

გამგე ა. იმედაშვილი
რეჟისორი ვლ. ალექსიმესხიშვილი.

ჭიათურის ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მორიგი საზოგადო კრება ბანკის წევრებისა მოხდება დაბა ჭიათურაში, თეატრის დარბაზში, 24 მარტს 1904 წ., დილის 10 საათზედ.

კრების განსახილველი საგნებია:

1) განხილვა და დამტკიცება 1903 წლის ანგარიშისა; 2) განხილვა და დამტკიცება საზოგადოების მომავალ 1904 ხარჯთ-აღრიცხვისა; 3) წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა; 4) სახლის მოპოვება საზოგადოებისათვის; 5) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა, ნაცვლად თ-დ ივ. აბაშიძისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუვიდა; 6) არჩევნები საბჭოს სამის წევრისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

(3—6—2)

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 9 მარტს 1904 წელს,
წარმოდგენილი იქნება

მინიონა

ოპერა 4 მოქ., მუსიკა ტომასი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ბობროვა-ბოვეიფერი, სტეფანოვიჩისა, როდიონოვა: ბ-ნნი: კარჟევინი, ილიუშჩენკო, ფიოდოროვი, გავრილოვი.

ცეკვას მოაწყობს ბალეტმეისტერი ბ-ნი ვიტტიგი.

რეჟისორი ა. დ. ბელსკი
კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო
დასაწყისი საღამოს 8 საათ.

ოთხშაბათს, 10 მარტს, საიმპერატორო თეატრის არტისტის ა. მ. დავიდოვისა, ქ-ნის ო. ა. შულგინასი, არტისტის ბარიტონის ა. მ. ბრაგინისა და საიმპ. თეატ. არტისტის დ. ი. ბუხტოიაროვის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება «ევგენი ონეგინი», ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.

ხუთშაბათს, 11 მარტს, საიმპერატორო თეატრის არტისტკის მ. ა. დუბროვსკაიას, საიმპერატორო თეატრის არტისტის ა. მ. დავიდოვისა, არტისტის ა. მ. ბრაგინისა და საიმპერატორო თეატრის არტისტის დ. ი. ბუხტოიაროვის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება «დუბროვსკი», ოპერა 5 მოქმედებად. მუსიკა ნაპრავნიკისა.

შაბათს, 13 მარტს «გალა» წარმოდგენაა. წარმოდგენილი იქნება „სამსონი და დალილა“

ბილეთები იყიდება.

გამოვიდა და ისყიდება ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ჩემი თავგადასავალი.

აკაკისა
ფასი 1 მანათი.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

ბაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—მიხაილოვსკის პროსპექტი, № 123.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, ელისაბედის ქუჩა, № 41.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აპეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

გ. ს. ელვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვების და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

იაპონელ ელჩის კურინოს აზრი.—ქვა-ნახშირი იაპონიაში.—ბულგარიის მთავრის სურვილი. ადმირალი ტოგო.—იაპონელების დაკავშირება ჩინეთთან.—ჩინელთა ჯარი.—იაპონელთა მამულიშვილობა.—წვრ. ამბავი.

პეტერბურგში იაპონიის ელჩად ნამყოფი კურინო, რაც რუსეთიდგან წავიდა, აქამომდე ევროპაში იმყოფებოდა და ძალიან თავდაჭერით იყო, რომ შორეულ-აღმოსავლეთის პოლიტიკის გამო არა წამოსცდენოდა-რა. მაგრამ საფრანგეთში რომ მივიდა, გულახდილ ფრანგებს მაინც აულაპარაკებიათ. გაზეთ «ტანის» თანამშრომელთან ჰქონია baasi და ის აზრი წარმოუთქვამს, რომ რუსეთ-იაპონიის მშვიდობიან მოლაპარაკების მიზეზი, ერთის მხრივ, რუსეთის აუჩქარებლობა იყო, პასუხის დაგვიანება, და, მეორე მხრივ, საზოგადოების მოუთმენლობა ტოკიოში და მღელვარება, რადგან რუსეთის სიჩუმე საეჭვოდ მიაჩნდათ. მე მწუხარებით აღვნიშნე, რომ რუსეთის მთავრობა მხედველობაში არ იღებდა იპონიის ხალხის მღელვარებასაო,—სთქვა კურინომ.—ეჭვი არ არის, რომ რუსეთის მეფე და გარეშე საქმეთა მინისტრი მოწადინებულნი იყვნენ მშვიდობიანად გაეთავებინათ უთანხმოება, მაგრამ სხვაფრივ უყურებდნენ საქმეს შორეულ-აღმოსავლეთის მოხელენი. მე მგონია, რომ არც ადმირალ ალექსეევს უნდოდა ომი, მაგრამ აუცილებლად-კი მიაჩნდა. მასთან დაახლოვებული მოხელეები პირდაპირ აცხადებდნენ სურვილს, რომ ომი მომხდარიყო. კურინო სწუხს, რომ გამწვავებულ წამს მხედრობის წადილს დიპლომატიამაც ხელი შეუწყო. მე დარწმუნებული ვარ, მოლაპარაკება პეტერბურგში რომ გვქონოდა, შეტაკება არ მოხდებოდაო. რუსებსა და იაპონელებს შორის არის ზოგი რამ საწინაალმდეგო და ეს მხედველობაში უნდა გვქონოდა: ჩვენ არ გვინდოდა ომი რუსებთან, ჩვენ წინაალმდეგნი არ ვიყავით მა-

თის უფლებისა და მდგომარეობისა მანჯურიაში, ხოლო გვინდოდა მშვიდობიანად გადაგვეწყვიტა შორეულ-აღმოსავლეთის საქმე. მაგრამ ჩვენ რომ მთლად აღვნიშნავდით ამ საქმეს, რუსეთი წამოგვიყენებდა მხოლოდ მისს ნაწილს. ჩვენ ვეხებოდით მანჯურიას, კორეასა და შორეულ აღმოსავლეთს; რუსები-კი პასუხად მხოლოდ კორეაზე ლაპარაკობდნენ.

— ისინი მხოლოდ კორეის შესახებ იმიტომ გვპასუხებდნენ, რომ მოვალეობად არ მიაჩნდათ დაგვპირდებოდნენ რასმე მანჯურიის შესახებ, რომელიც ჩინეთის პროვინციაა,—შენიშნა გაზეთ «ტანის» თანამშრომელმა.

— შეიძლება აგრე ჰფიქრობდნენ რუსები; ხოლო ჩვენ, იაპონელები, როგორ უნდა დავრწმუნებულიყავით, რომ რუსეთი მანჯურიის შესახებ-კი არას დაგვპირდება, მაგრამ კორეას არასოდეს ხელს არ წაატანს. მთელი იაპონია შიშმა აალელვა, რუსეთი კორეას დაიჩემებსო და ეს შიში თანდათან იზრდებოდა იმის გამო, რომ რუსეთი პასუხს უგვიანებდა იაპონიის მთავრობას. განა არ უნდა შეენიშნათ ეს მღელვარება და ხალხის დასამშვიდებლად შესაფერი ღონისძიება არ უნდა მიეღოთო? («ნოვოსტი»).

—

რუსეთმა გამოაცხადა, რომ ომიანობის დროს კონტრაბანდად ჩავსთვლი ქვანახშირს, რომელიც იაპონიისაკენ მიდისო. ამის გამო ინგლისში ერთი აყალ-მაყალი დაიწყეს და თან ხმას ავრცელებდნენ,—იაპონიას ქვა-ნახშირი სჭირდება, ინგლისისაგან ყიდულობს და ეხლა რუსეთი ხელს უშლისო. როგორც ეტყობა, ამით უნდა წაეხალისებინათ ვირენიუსის ესკადრა, რომ უფრო გულდადებით შესდგომოდა ქვა-ნახშირით დატვირთულ გემების დაპატიმრებას და სამხრეთიდგან არსად წასულიყო. რამდენიმე გემი მართლაც შეიპყრო რუსეთის ესკადრამ, მაგრამ მალე გაანთავისუფლა, რადგან ინგლისისა გამოდგა და იმის ნავთ-სადგურებში იგზავნებოდა.

ეს ხმები განგებ გაუვრცელებიათ.

იაპონიას იმდენი საკუთარი ქვა-ნახშირი ჰქონია, რომ სხვის ოხერი სულაც არ უნდა და, პირიქით, თავისსაც ჰყიდის. «მოსკ. ვედომოსტს» მოჰყავს ცნობები, რამდენი ათასი ტონნი ქვა-ნახშირი გამოსულა იაპონიის მადნებიდგან 8 წლის განმავლობაში, რამდენი გაუტანიათ საზღვარ-გარედ და რამდენი შეუტანიათ უცხოეთიდგან. აი ეს საყურადღებო ცნობები:

	გამოსულა:	გაუტანიათ:	შემოუტანიათ:
1894 წ.	4,261	1,701	37
1895 »	4,767	1,845	69
1896 »	5,020	2,194	49
1897 »	5,188	2,103	69
1898 »	6,696	2,183	42
1899 »	6,722	2,488	51
1900 »	7,429	3,350	99
1901 »	—	2,922	113

ჩინეთ-იაპონიის ომის დროსაც კი იაპონიას სხვის ქვა-ნახშირი არ დასჭირვებია და, თუ უცხოეთიდგან შეაქვს ცოტაოდენი, მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოელებსვე მიჰყიდოს.

ეს ყოველივე ძალიან კარგად იცის ინგლისმა და, თუ აყალ-მაყალი ასტეხა, სულ სხვა განზრახვა ჰქონია.

—

ბულგარიის მთავარს ფერდინანდს შემდეგი წერილი გაუგზავნია მინისტრ-პრეზიდენტის პეტროვის მეუღლისათვის.

«ჩვენის განმათავისუფლებელისა და იაპონიის ომი შორეულს აღმოსავლეთში უფრო გააცხოველებს მხურვალე მადლობის გრძნობას, რომელიც ღვივოდა და მარად აღგზნებულ იქმნება ჩვენ, ბულგარელთა, გულში ჩვენ თანამოძმე და ნუგეშად საგულებელ რუსის ერისადმი.

ამ ჟამად, ოდეს ჩვენნი თანამოძმენი ამ საშინელსა და აუტანელს ამინდში სამშობლოს დასაცველად მიისწრაფვიან, ვერც ერთი ბულგარელი გულ-დამშვიდებით ვერ იქმნება. პარაკლისებს რუსეთის მახვილის გამარჯვებისათვის, საჭიროა, ნივთიერი მსხვერპლიც დაერთოს. დიდად მოწადინებული ვარ კეთილის საქმით აღინიშნოს ერის მხურვალე თანაგრძნობა, და ამიტომ გთხოვთ ითავოთ და, თქვენის თავმჯდომარეობითა და ქ-ნ ეკატერინე ყარაველოვისა და ფრეილინ პეტროვ-ჩუმაკოვის მონაწილეობით, დედათა კომიტეტი დააარსოთ, რომელმაც იზრუნოს და შეამზადოს სამკურნალო ნივთები, რომელიც შორეულ-აღმოსავლეთის ომში რუსის სათადარიგო ჯარის კაცებს დასჭირდებათ ავადმყოფობის დროს. დარწმუნებული ვარ, არ აიცილებთ ამისთანა კეთილშობილურ მოვალეობას, რათა მცირეოდნად მაინც ვუზღოთ ის მსხვერპლი, რომელიც რუსთა მეუღლეებმა და დედებმა შემოსწირეს ჩვენს სამშობლოს.

მე მსურს მარად თქვენთან ვიყო ამ საკეთილო საქმის აღსრულების დროს, რომელსაც თქვენ გავალებთ და რომლის კურთხევასაც ვევედრები ღმერთს».

კომიტეტი შესდგა. თითქმის ყველა წარჩინებულ ოჯახის ქალი ჩაეწერა. ქალაქი სოფია გაყოფილია ხუთ ნაწილად, რომ უფრო ადვილად შეგროვდეს. რამდენიმე სამკერვალო დაარსდა. პროვინციებშიც მოწოდების ფურცლები დარიგდა და იმედი აქვთ, კეთილ საქმისათვის არას დაიშურებენ.

—

იაპონიის ადმირალი ტოგო ამ ჟამად 57 წლისაა, სამხედრო სწავლა მიუღია და ახალგაზდავე ზღვაოსნობას სწავლობდა. ადმირალ ტოგოს მხნეობამ და მეცადინეობამ ინგლისის აფიცრების ყურადღება მიიქცია, როდესაც იაპონელების ჯარის ინსტრუქტორებად იყვნენ. 1894 წელს, ჩინეთ-იაპონიის ომის დროს, ტოგო უფროსად იყო კრეისერის «ნანივა»-სი, რომელმაც ჩინელების სატრანსპორტო შეიარაღებული გემი «კოუშენგი» დალუპა, ჯარით სავსე. ამ დალუპულ გემის უფროსად ჩინეთის სამსახურში მყოფი ინგლისელი იყო, კაპიტანი პალიევორსი, რომელიც წინად სწორედ იმ გემის უფროსი ყოფილა, რომელზედაც ახალგაზდა ტოგო მეზღვაურობასა სწავლობდა; როდესაც შეგირდმა ოსტატს აჯობა და ზემოხსენებული გემი დალუპა, მაშინათვე გაუგზავნა ნავი და თავისი ოსტატი სიკვდილს გადაარჩინა. ომის შემდეგ ტოგო ვიცე-ადმირალად დაინიშნა და გემის ქარხნების უფროსად იყო მაიზურში, სადაც იაპონიის ფლოტის რამდენიმე საუკეთესო ჯავშნიანი გემი აუგიათ. («მ. ვ»).

—

კორეის გარეშე საქმეთა ახალი მინისტრი, გენერალი მინ იუნ-ჩული, 15 მარტს (ახ. სტ.) ჩიფუს წასულა. ამბობენ, მისი წასვლა იმ განზრახვას მოუსწრაფებია, რომ კორეამ, ჩინეთმა და იაპონიამ საჩქაროდ მოილაპარაკონ და სამთა-კავშირის ხელშეკრულობა დასდონ. ამ ხელშეკრულობით, ჩინეთი მოვალე იქმნება, იაპონიას დაეხმაროს. იაპონელებს იმედი აქვთ, რომ ჩინეთი დაუთმობს ხან-კოუსის ჯარს, რომელიც იაპონელ აფიცრების გაწრთვნილია და ძლიერიც არის. იმავე ხელშეკრულობით, იაპონიას უნდა კორეის ჯარიც შეიერთოს, რომელშიაც 12,000 კაცი ითვლება. მაინცა-და მაინც, ჩინეთი დარწმუნდება, რომ ეხლახან დადებულ ხელშეკრულობით იაპონიას ჩინეთის სამტრო არა ჩაუდენია-რაო. ჰგონებენ, ვითომც ჩინეთი სიამოვნებით მიიღებს ამისთანა ხელშეკრულობას, რადგან დარწმუნდა, რომ რუსეთს ბევრი არა შესძლებია-რაო.

იქნება იაპონიას მოუწადინია სცადოს, რას იტყვიან ევროპიელები ამისთანა ხელშეკრულობის შესახებო,—ამბობს «ნოვოე ვრემია».

—

პეჩილიის ვიცე-კოროლი და პეკინის გუბერნატორი იაპონელებს თანაუგრძნობენ. ჩინეთი შეიარაღებულია, მანჯურიის საზღვარზე 20,000 კარგად შეიარაღებული და დახელოვნებული ჯარია. თუ რომ იაპონელებმა მოახერხეს და ნიუ-ჩუანი დაიჭირეს, შესაძლოა, ჩინეთის ჯარიც წაიტყუილონ. მაშინ ევროპიელთა და მათ საელჩოების დასაცველად დაყენებული ჯარი გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდება. იქნება მთელი მანჯურია ამხედრდეს. ეხლავე ამბობენ, რომ რუსეთი ომს ვერ დაამთავრებს, ვიდრე პეკინს არ დაიჭერსო. («ნ. ვ.»).

—

იაპონელები ძალიან აჩქარებენ რკინის გზის გაყვანას სეულიდგან ი-ჯუმდე. 500 იაპონელი ინჟენერი ადგია ამ საქმეს, რელსებსა და ყველა მოწყობილობას იაპონიის რკინის გზებიდგან გადიტანენ და გადმოაქვთ კიდეც. ხიდები სახელდახელო იქნება, გვირაბები არსად საჭირო არ არის. ომის შემდეგ ეს რკინის გზა სამუდამოდ დარჩება.

რუსებიც აპირობენ სტრატეგიულ რკინის გზის გაყვანას ლიაოიანიდგან მდინარე იალუმდე. ამ გზის გაყვანა დავალებული აქვს ინჟენერ მიხაილოვსკის. 10 მარტისთის ომის ველზე 200,000 რუსის ჯარი იქნება. (იქვე).

«ბერლ. ტაგბ.» კორესპონდენტი იწერება ტოკიოდგან,—იაპონელები მეტად აღტაცებულნი არიან ომიანობის გამო. ერთმა მოხუცმა დედაკაცმა ნავასაკში ხანჯალი დაიცა გულში და თავი მოიკლა, რომ იმისი ერთად-ერთი შვილი არ გაენთავისუფლებინათ სამხედრო ბეგარისაგან, როგორც დედის ერთა და ოჯახის შემნახველი. როცა კვდებოდა, დედამ დასისხლიანებული ხანჯალი შვილს გადასცა და ისიც მაშინვე წავიდა და ჯარში ჩაეწერა სამშობლოს დასაცველად.

აქტიორობა აქამდე იმდენად დამამცირებელ და სამარცხვინო ხელობად მიაჩნდათ იაპონიაში, რომ აქტიორს ჯარში შესვლის უფლება არა ჰქონდა. ეხლაკი ცნობილი აქტიორი კამეცი მიიწვიეს და ჯარის კაცად ჩარიცხეს; ეს რომ მისმა მამამ გაიგო, სიხარულით წამოიძახა: აქტიორი კი დაგვარწმუნებს, რომ რუსებისა არ ეშინიანო. («ნოვ.»).

—

ჩინეთის ხალხი აჯანყებას აპირებს და ამის ნიშნები უკვე შეუნიშნავთ. «ფიგაროს» შემდეგი დეპეშა მოსვლია ტიან-ძინიდგან:

შან-სის პროვინციაში, ჩინეთ-ბელგიის რკინის გზაზე, დიდი არეულობაა, მეტადრე ტსე-ჩოს, ლუნ-განს და სხვა სამხრეთ ქალაქებში. ერთი ფრანგი, ვგარად პერიო, აჯანყებულებმა წაიყვანეს და მისი ამბავი ჯერ არავინ იცის. იტალიელმა ბომამ იარაღით მოიგერია ხალხი და თავს უშველა. რკინის გზის მახლობლ ბელგიელების მდგომარეობა საშიშია. ამბოხების მიზეზი არავინ იცის; ამბობენ, ვითომც ბომამ ერთს ჩინელს რევოლვერი ესროლა და ხალხი ჩინელს წაექომაგაო. (იქვე).

„ფას. გაზ.“ ატყობინებენ ლონდონიდგან,—ნიუ-ჩუანიდგან შემდეგი დეპეშა მოვიდაო: რუსეთის ფლოტს პორტ-არტურში ნაბრძანები აქვს, ნავთსადგურს გარედ იყოს და ცეცხლი მარად გაჩაღებული ჰქონოს. აქედგან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ადმირალ მაკაროვს გადუწყვეტია, იაპონიის ფლოტს შეებრძოლოს.

რუსეთის ჯარის სარდალი აცხადებს, რომ ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე, პორტ-არტურს, კინჯოუს ნავთსადგურში და რკინის გზის გასწვრივ ტაშ-იაომდე საკმაო ჯარი სდგას ამ ადგილების დასაცველადაო („რ. ვ.“).

—

«ბერლინ ტაგებლადტი“ იუწყება: რუსეთის ელჩმა ოფიციალურად აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ კვანტუნის ნახევარ-კუნძულის გარშემო ნაღმი არის ჩაწყობილი და ამის გამო უცხოელთა გემებმა, რომელთაც ნავთსადგურში შესვლა უნდათ, ხუთის მილის სიშორიდგან უნდა ნიშნებით მოითხოვონ დახმარებაო. (იქვე).

—

გაზეთ «ტანს» ატყობინებენ ნიუ-ჩუანიდგან, რომ ჩინეთ-მანჯურიის საზღვარზე ამ ჟამად 20,000 ჩინეთის ჯარი სდგას და მატარებლებს ყოველ დღე კიდევ მოჰყავთ ჯარიო. («ნოვოსტი»).

—

«ლოკალ ანზ».-ი ამბობს: ტყუილი უნდა იყოს ის ამბავი, ვითომც იაპონელების ჯარი მდინარე იალუს შესართავში არისო. მდინარე ეხლა მოლხვა მაგრამ გემების სიარული შეუძლებელია.

კორეის იმპერატორს სამდურავი შეუთვლია ტოკიოში, თქვენი ელჩი ძალადობსო. (იქვე).

—

ლოძის საფეიქრო ქარხნებისათვის ვაჭრებს შეუკვეთნიათ დიდძალი იაფ-ფასიანი ხელსახოცები, რომლებზედაც აღბეჭდილი უნდა იყოს შორეულ-აღმოსავლეთის რუქა, ომის სცენები და სხვა-და-სხვა სურათები ამისთანა სურათები მრავლად იყიდება თურმე.

ტფილისი

⁂ დღეს ქართულ დრამატიულ დასის ახალგაზდა არტისტები, ვ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, ქართულ თეატრში წარმოადგენენ ხუთ-მოქმედებიან ტრაგედიას «ურიელ აკოსტა», თარგმანი ი. ბაქრაძისა.

⁂ ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრის თანამდებობაზე საბჭოს მიერ არჩეული თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ამ თანამდებობაზე. ახალმა წევრმა გუშინ, 8 მარტს, მიიღო ფიცი და შეუდგა თვისის თანამდებობის აღსრულებას.

⁂ 6 მარტს, ტფილისის არტისტიულ საზოგადოების დარბაზში, კრება იყო სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებისა. შარშან საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია: საწევრო ფული—890 მან., შეწირულება—1,234 მან., საღამოების გამართვით—1,884 მან. 64 კ., წარმოდგენებისაგან ბორჯომში 767 მან. 9 კ. და სხვა. სულ—5,834 მან. 88 კ.; წლის განმავლობაში სტუდენტებზე დახარჯულა 4,912 მან., რომელთაგანაც 2,905 მან. სახარჯოდ და 2,007 მან. სწავლის ფულის შესატანად. ამ წლის 1 იანვრისათვის კასაში დარჩენილა 202 მან.; ორის თვის შემოსავალი რომ მივუმატოთ, 1 მარტს შესდგებოდა 3,003 მ. 1 კ., ხოლო აქედგან 2,525 მან. უკვე დახარჯულა სტუდენტებზე. კრებამ ანგარიში დაამტკიცა და საპატიო წევრებად აირჩია: ლ. ა. სვეჩინისა, კნ. დ. რ. ჭავჭავაძისა და ე. დ. ასტაფიევისა. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ა. ჭყონია. ი. ღულაძე,

---

ფელეტონი

ქარი.

შორს აეჰრა ქარი ღრუბელს,
ცივის მთიდან ანაბერი;
ბრძოლის ველად იწვევს მთვარეს
ულმობელად ანაძგერი.
ევროს კლანჭი მიაგება,
ვარსკვლავთ დისკოს გაჰკრა ფრთები;
გულს ტატანნი ჩაისვენა,—
მისის ბრძოლის საბუთები.
მთა-ბარს ესმის ცის ქუხილი,
ელვა—ელავს... იბრძვის ქარი...
უკვდავია სიმართლისთვის
თავ-განწირვით მეომარი.

ბ. ახოსპირელი.

* *
*

რა ვუყოთ, რომ ცხოვრებამ უდროვოდა გამრიყა
და ბეჩავსა, უბედურს მომაყარა მე მიწა...
არ დამინდო სოფელმა მე სიმართლისა მაქმელი,
დამამუნჯა ძლიერმა, მაგრად ჩამჭიდა ხელი.
მითხრა საწყალს:—უძლურო, მემორჩილე მუდამო.
ხომ ხედავ, რომ არა გაქვს არც კარი, არც მიდამო,
ღატაკი ხარ, საწყალი, არა-რა გაბადია,
შენი თავი სულითურთ, იცი, მე მაბარია.
რაც გითხრა, აასრულე, არ გადასცდე ჩემს თხოვნას,
თორემ ვერსად წაუხვალ ჩემ რისხვასა და წყრომას.
დაგავიწყებ სატრფოსა და სამშობლოს სიყვარულს,
ამოგართმევ ენასა, გაგხდი საწყლად მოარულს...
მაშ კვლავ გირჩევ, რომ იყო ჩემი მონა, მორჩილი,
თუ არ გსურს დაგავიწყო რწმენა და სიყვარული...

—

მოვისმინე მე ყველა, რაც მან ზემოდ მიბრძანა
და მით სული ტანჯული შემეხუთა ყელთანა.
მსურდა მეთქვა: მონა ვარ თქვენ მიერ ნაბრძანების,
მაგრამ წამცდა:—შვილი ვარ, იცი! თავისუფლების!
შეეჩვია აწ გული თავისუფალ ცხოვრებას,
და ემორჩილება უსამართლო ბრძანებას.
სიმართლისთვის მზადა ვარ გავსწირო მე თვით სული,
რისხვას, წყრომას ბოროტის, არ უდრეკბა აწ გული.
არა, არა, ბოროტო! ვერ გაგიწევ მონობას,
თუ გინდ რომ მოველოდე ღვთის წყრომა-განრისხებას...
რა ვუყოთ, რომ ცხოვრებამ უდროვოდ დამამიწა
და ბეჩავსა, უბედურს მომაყარა მე მიწა...

გ. ლადოშვილი.

სულის მისწრაფებანი.

I

დიდ-მარხვაა. თან შუა ღამეა. ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი. ცივ ნიავს ზუზუნი გააქვს. ნიავიც, სინათლეც საკმარ შედიან ვასილ მღვდლის წყნარ სადგომში დრო-ვითარებისაგან დაფხავებულ ფანჯრებიდან. მამა ვასილი, ბეჯითად მოსიარულე სადიდმარხო ლოცვებსა და სხვა სამღთო მსახურებაზედ, გაცივდა ცივს ეკლესიაში და ლოგინად ჩაწვა. სათუთად მზრუნველმა მისმა მეუღლე მელანიამ მრავალი ხერხი იხმარა და ძლივს მოჰგვარა ოფლი. ხვითქი გადასდის მამა ვასილს, ლოგინს ოშხივარი ასდის. ამის გამო მორჩენაზედ სრულიად დაიმედებული მელანია მაინც არ წყნარდება: მკლავების ლოგინზევით ამოღების ნებას არ აძლევს მღვდელს, თავთით უზის, საბანს უსწორებს და თან გულზე ნადებ საოჯახო მზრუნველობის ამბებითართობს მეუღლეს.

— შენ გენაცვალოს ჩემი თავი, მღვდელო, წვითა და დაგვით ნაშოვნი სამი ქალის გათხოვებას მოვანდომეთ. ეხლა გროშობით შოვნამ და ილოსთან გზავნამ ლამის სული ამოგვლაფოს და მოდი ნუ გაუფთხილდები ჯანს...

— ღმერთმა ამ ორიოდე წელს მომცეს ჯანი და ალბად ილოსაც ეშველება, გავუგზავნი თვეში ორ თუმნობით და გავითავებს უნივერსიტეტს. მოგვივა წვითა და დაგვით გამოზრდილი ერთად ერთი ვაჟი-შვილი და მერე გინდ ორივენი დავიხოცნეთ—ჯავრი არასი წაგვყვება, მომხსენებელი გვეყოლება.

— აბა, იმიტომ უნდა გაუფრთხილდე თავს... ეხლაც თვე დადგა და ჯერ გროში არა გვაქვს გაგზავნილი—რას ისწავლის მშიერ-მწყურვალი.

— ერთი ფეხზე ავდგე და ეგებ ნათლიდედა ეფემ მათხოვოს ორი თუმანი, გავუგზავნი და მერე აბაზობით შენაგროვით გადავუხდი.

— დიდ მარხვაში იმდენი რა შემოგვივა, გეთაყვა. ვაი თუ ეფესთან შევრცხვეთ. ისევ დოლა ძროხა გავყიდოთ, აფხია გვევაჭრება... ჩვენ ერთი ძროხა ვიკმაროთ.

არ იამა მამა ვასილს ცოლის რჩევა. შენაოჭებული შუბლი უფრო შეინაოჭა. უყვარდა საქონელი. გაჭირებამ ისეც ბევრი საყვარელი პირუტყვი გააყიდვინა. ორი ძროხა-ღა დაჰრჩენოდა და მათ გამეტების ფიქრს არ იკარებდა. უნდა სამდურავი ეთქვა ამის გამო მელანიასთვის, მაგრამ ამ დროს შეჰყეფა ეზოში მათმა ძაღლმა და დაეტია ვილასაც. საჩქაროდ გააღო მელანიამ კარი და სახლში შემოუშვა ნაბად-ყაბალახიანი გლეხი, თან მარდად მიუხურა კარი გაავებულს ძაღლს და ზუზუნა ნიავს, რომელნიც ძალუმად იწევდნენ შინისკენ.

— მამაო ვასილ, შენი სულის ჭირიმე! გამობრძანდი და მოხუცი დედა-ჩემი აზიარე... მამაო, უზიარებელს ნუ მოჰკლავ, შენ გეთაყვანე!..—შეევედრა გლეხი ჯერ ისევ ოფლ-შეუშრობელ პოძღვარს.

— შენ გენაცვალე, ნათლიმამ პეტრე! ნათლიდედას დილამდის პირს-ჯვარიმც სწერია... ოფლი ძლივს მოვადინე... შეაშრება და დილაზე აზიარებს... ამ ბნელაში, ცივ ნიავს ნუ გაუყენებ მოძღვარს... შეიბრალე ჩემი ილოც!—ემუდარებოდა დედა მელანია, რადგან იცოდა ქმრის ხასიათი, რომ არ უღალატებდა თავის მოვალეობას.

მაინც ილოს ხსენებამ და ცოლის ვედრების კილომ იმოქმედა მამა ვასილზედ და მან ჰკითხა გლეხს: ძაან უჭირს, შვილო, სწორედა სთქვი, ნუ დამიმალავ!

— ან მიუსწრობ, მამაო, ან არა!

— მომიტათ თულუფი, ყაბალახი, თბილად ჩავიცვამ გავალ, ვაზიარებ!—სთქვა მტკიცედ მოძღვარმან.

ხმა ვერ ამოიღო დედა მელანიამ. უხმოდ მოართვა საყვარელ მეუღლეს თულუფი, ხელის ცახცახით შებურდნა ყაბალახით, მიართვა ხელში შევერცხლილი კვერთხი, თან შავს ჰკვიანურს თვალებიდან აფქვევდა მწარე ცრემლს. ხატის წინ დასვენებული საზიარებელი აიღო მამა ვასილმა, მოწიწებით ემთხვია მას, ჩაისვენა უბეში და მერე მტკიცედ უთხრა ცოლს:

— ძვირფისო მელანია! შენც მიყვარხარ, ჩვენი ილოც, მაგრამ თქვენზედ დიდად მიყვარს ღმერთი, ჩემი მოვალეობა და მრევლი, იყავ გულ-მტკიცე ღმერთი ჰფარავდა ჩემს მამა-პაპა მღვდლებს—დამიფარავს მეც!..—სთქვა და გაჰყვა.

II

მართალია, შეასრულა მამა ვასილმა თავისი მოვალეობა, აზიარა მრევლი, მაგრამ საშინელი ქშენით და ვახ-ვიშით დაბრუნდა შინ. ელდა ეცა მელანიას მის დანახვაზედ. ჩააწვინა თბილს ლოგინში და მოიწვია იმ სოფლის ქსენონის ექიმი.

— ორივე ფილტვების ანთებაა, მერე ხნიერიც ბძანდება... ძაან სათუთი მოვლა გინდა, მამაო! მარხვა უნდა მიირთვა, ხორცის ნახარში, რძე, კვერცხი... თო-

ლ. შევალიე, და სარევიზიო კომისიის წევრებად—გ. გაბაშვილი, ა. ლომანი, მ. გედევანიშვილი, ხ. ღლონტი და ა. მუხარინსკი.

⁂ საელექტრონო სადგურისათვის ადგილის მოსაძებნად დანიშნულმა საბჭოს კომისიამ 6 მარტს დაათვალიერა მტკვრის ნაპირები და მოიწონა ბ-ნ პაპკოვის ადგილი. ხოლო კომისიის ერთმა წევრმა ინჟენერმა ა. ფლორენსკიმ, არჩია ბ ნ მამიკონოვის მიწა, ვერის ხიდთან.

⁂ ტფილისში ბოლოს დროს აღებმიცემობა შესამჩნევად შეფერხდა. რამდენიმე ფირმა ვალს აღარ იხდის და კოტრდება.

⁂ ფოსტა-ტელეგრაფის ინსპექტორი კ. ლეი ტფილისს ამოვიდა პეტერბურგიდგან და რევიზიას შეუდგა. უმთავრესი ყურადღება რევიზორისა ტელეგრაფის განყოფილებაა. რევიზორი უნდა დარწმუნდეს, თავის დროსა და რიგზე იგზავნება დეპეშები თუ არა.

⁂ ქიათურის შავის ქვის მრეწველთა საბჭო სთხოვს ტფილისის ქალაქის გამგეობას,—გამოგვიგზავნეთ ერთი ცალი ინსტრუქციისა სახელმძღვანელოდ, რომელიც მიღებულია სატეხნიკო ზედამხედველობისაგან ქალაქ ტფილისში.

⁂ სააქციონერო საზოგადოება, რომელიც მამა-დავითის მთაზე ფუნიკულერს ჰმართავს, შეუდგა დიდის აუზის აშენებას, რომელიც დაიტევს 40,000 ვედრა წყალს.

⁂ ქალაქის ტეხნიკოსმა მელიქ-ბეგლიაროვმა აუწყა ქალაქის გამგეობას, რომ მუშტაიდისა და ელისაბედის ქუჩების კუთხეში ბელგიის უსახელო საზოგადოება შეუდგა სხვა-და სხვა სამუშაოებს ქალაქის გამგეობის ნება-დაურთველად და პროექტის დაუმტკიცებლად. ამასთანავე სთხოვს, რომ აეკრძალოს ბელგიის უსახელო საზოგადოებას ხსენებულ ადგილზე მუშაობის განგრძობა.

⁂ საკონტროლო პალატა სთხოვს ტფილისის ქალაქის გამგეობას,—წარმოგვიდგინეთ ცნობები იმ მოსამსახურეთა, რომელთაც მინიჭებული აქვთ სახელმწიფო სამსახურის უფლება-უპირატესობანი. აგრედვე ის ცნობებიც, თუ რა ცვლილება მოხდა იმათ ჯამაგირზე 1903 წლის განმავლობაში.

⁂ ქალაქის ლომბარდის კასაში 1-ლ მარტისათვის იყო 1,346 მან. 16 კაპ., ამავე დროსთვის გაცემული იყო სესხად 376,097 მან.; ლომბარდში დაგირავებული ნივთები დაფასებული იყო 489,248 მან.; სულ ლომბარდის აქტივი უდრიდა 896,312 მან. 37 კაპ.; ძირითადი თანხა ლომბარდისა 163,761 მან. 6 კაპ. იყო. საობლიგაციო თანხა —189,100 მან.

⁂ საქართველოს ექსარხოსი, მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა ალექსი დღეს, 9 მარტს, საგარეჯოს მიდის.

⁂ როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, ბელგიის უსახელო საზოგადოება საელექტრონო სადგურს აშენებდა მტკვრის ნაპირად, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, მაგრამ პოლიციამ ნება არ დართო. ბელგიის უსახელო საზოგადოებამ გუბერნატორთან აღძრა შუამდგომლობა ამის გამო და ნება-რთვაც მიიღო, იმ პირობით-კი, რომ თუ მთავრობას დასჭირდება, ეს მამული, უნდა დაებრუნებინა საზოგადოებას მისთვის. ამის გამო მიხეილის საავადმყოფოს უფროსმა ექიმმა გურკომ განცხადება წარუდგინა კავკასიის სამედიცინო ნაწილის გამგეს ფენომენოვს, რომ ის მამული, სადაც ბელგიის უსახელო საზოგადოება საელქტრონო სადგურს აშენებს, სახელმწიფოა და არავის არა აქვს უფლება მთავრობის ნება-დაურთველად ისარგებლოს იმითიო. ეხლა ფენომენოვი ატყობინებს ქალაქის თავს, შეგვატყობინეთ, რა იყო მიზეზი, რომ პოლიციამ ნება არ დართო სადგურის აშენებისა და გუბერნატორმა-კიო და ან ვის ეკუთვნის ეს მამულიო.

⁂ მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია ვეძინის ქუჩა, მთაწმინდაში: წამოწვიმდება თუ არა, ისეთი ლაფი დადგება ამ ქუჩაში, რომ გავლა შეუძლებელია; ძლიერ ყაჩაღად უნდა იყოს კაცი, რომ თათარასავით არ ამოისვაროს ტალახში. თუ ამ ქუჩის მოკირწყვლას არა ეშველება-რა, ქალაქის გამგეობამ ნავები მაინც გაგვიმართოს ამ ქუჩის მცხოვრებთ, რომ უშიშრად შეგვეძლოს გავლა აქაურს ტბასა და ტალახში!..

⁂ უმაღლესს მთავრობას, როგორც «ცნობ. ფურც.» იუწყება დაუმტკიცებია ამიერ-კავკასიის საერობო გადასახადების ხარჯთ-აღრიცხვა 1904—1906 წლებისათვის.

⁂ იგივე გაზეთი იუწყება, რომ ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა წესდება ოზურგეთში განზრახულის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისაო.

⁂ «ცნ. ფურცელს» ქუთაისიდგან დეპეშით ატყობინებენ: «1 მარტს, საღამოთი, ხუთი ბერდანის თოფით შეიარაღებული ყაჩაღი თავს დაეცა გოკიელოვის მაღაზიას. ყაჩაღებსა და ნოქრებს შორის სროლა ასტყდა, რომლის დროსაც დაიჭრა ერთი დედაკაცი. ყაჩაღებს წაუღიათ 20 მანეთი».

ხმა დაბლიდან.

მე პატარა კაცი ვარ, პატარა თავში შესაფერი ტვინიც მიდევს და ჩემი აზრებიცა და ფიქრებიც პატარაებია. ამიტომაც ნურავის გაგიკვირდებათ ჩემ მიერ გამოთქმული მცირე მნიშვნელოვანი აზრები.

თუმცა მე «ლაქია»-კაცი ვარ, მაგრამ სკოლაში მისწავლია, და აქ გამიგონია ასეთი სიტყვები და ფრაზები: «სამშობლო ენა», «დედა ენა», «დედა ენის სწავლა საფუძველია სხვა ყოველგვარ სწავლათათვის», «დედა ენის უცოდინარობა გადაგვარების ნიშანია», «დედა ენის უარმყოფელი თავის მშობლებისა და თავის ვინაობის უარმყოფელია», «დედა ენის არ პატივმცემელი პირადსა და ეროვნულს თავმოყვარეობას მოკლებულია», და სხვ. ამგვარები. მე ღრმად ვირწმუნე ამ სიტყვებისა და ფრაზების სიმართლე და ჩემის მცირე განათლების შესაფერად შევისწავლე და შევითვისე, როგორც ქართველმა, ქართული ენა, რომელსაც ვხმარობ ამდენი ხანია (შუა ხნის კაცი გახლავართ) ნათესავებთან, ტოლ-ამხანაგებთან, მეგობრებთან და ყოველ წოდებისა და მდგომარეობის ქართველთან ლაპარაკში და მიწერ-მოწერაში; ვიქცევი ასე არა იმიტომ, რომ გარდა ქართულისა, სხვა ენა არ ვიცოდე. ვიცი სახელმწიფო ენაც და სხვაც უცხო ენათაგან არა უარესად იმათზე, ვინც მაკვირვებენ დედა-ენის აბუჩად აგდებით. მაგრამ მივმართავდი ხოლმე ამ ენებს მხოლოდ საჭიროებისადაგვარად და არა თავის გამოსაჩენად დედა-ენის უცოდინარობის მოგონებითა და მოჩვენებით. ასე ვიქცეოდი ამ უკანასკნელს დრომდე. ეხლა-კი ეჭვი შემეპარა ჩემის ამგვარ ქცევის მართებულობაზე, და აი რატომ: დიდის ხნიდგან ვუკვირდებოდი და ვამჩნევდი, რომ ისინი, ვინც ნასწავლნი არიან, მაღალის წოდებისანი არიან, მდიდრები არიან, ქართულის ცოდნა ჩემზე და ჩემსავებრ პატარა კაცებზე მეტი აქვთ, სულ მუდამ და ყოველგან ლაპარაკობენ, ოჯახში და გარედ, ქართველთან და არა ქართველთან, ცოლთან და შვილთან, არა ქართულად. ასეთი ქცევა მე უმართებულოდ მიმაჩნდა, მაგრამ ვხსნიდი ამას, როგორც ხშირად არა ნორმალურს მოვლენაზე საზოგადოებაში მიღებულია ხოლმე თქმა, გარდამავალის ჟამის შედეგად, და ველოდი დღითი-დღე ამგვარ უკუღმართობის გასწორებას. ამ მოლოდინში გაიარა ჩემმა სიყმაწვილემ, ახალგაზდობამ, და გადავდექი შუა ხანში, როდესაც ყოველნაირი იმედები ხუნდება და მეფდება სინამდვილე. აი ამ სინამდვილემ დაჰბადა ჩემს გულში ეჭვი: ვაი თუ ამდენი ხანი ვსცდებოდი! ვაი თუ ცოტათი სუფთად ჩაცმულ კაცს (დროთი დრო გვარიან ტანისამოს ვიცვამდი) ქართულად ლაპარაკი ამცირებს! ვაი თუ ეს ენა შერჩენია მხოლოდ გაუნათლებლებს და ჩამოგლეჯილ სამოსლიანებსმეთქი! აი ამ ეჭვთა იძულების ქვეშ და დაბალთა მონდობით ვეკითხები მაღლებსა, რომელთაგანაც ველი გულ-წრფელს პასუხებს. გამოტყდით საჯაროდ, თქვენ, ნასწავლნო, მდიდარნო, მაძღარნო, მოდაზედ ჩაცმულნო-დახურულნო, პრესის წარმომადგენელნო და სცენის მსახურნო:

1) სამარცხვინოა თუ არა თქვენს მდგომარეობაში მყოფთათვის ქართულად ლაპარაკი?

2) თუ სამარცხვინო და დამამცირებელია, ჩვენ, დაბლებს, რად გვირჩევთ დედა-ენის არ დავიწყებას?

3) ხომ არ გეშინიათ, რომ დედა-ენის დავიწყებამ ჩვენც თქვენსავით დიდი კაცები გაგვხადოს?

4) ებრაელთა ჟარგონივით სასაცილო დიალექტად ხომ არ გარდაიქცა ქართული ენა?

5) თუ მკვდარ ენათა რიცხვი ჩაირიცხა იგი?

6) აბა, თქვენ, მსახიობნო, სცენაზედ რად ლაპარაკობთ უცხოელებივით ქართულ სიტყვებს უხერხულ მახვილებით, და აქცენტით?

7) აბა, სცენის გარედ, რატომ ერთმანეთში ქართულად არ ლაპარაკობთ (არ კადრულობთ), რათა ენა მუდამ ავარჯიშოთ, და თქვენგან სწორი ლაპარაკი და გამოთქმა ჩვენც ვისწავლოთ? (მე თვითონა ვარ მოწამე იმისა, რომ მსახიობნი ერთმანეთში ქართულად არ ლაპარაკობენ).

8) გემოზე ჩაცმულ-დახურულნო, რუსთაველის ენა ნუ თუ «მოდნი» პალტოს, შლიაპისა და «ჰალსტუკის» ღირსი არ არის?

9) თუ მარტო ჩამოგლეჯილები ილაპარაკებენ ქართულად და უვიცი გლეხები, მაშინ ქართულად ლაპარაკი გაუნათლებლობის ნიშანი არ იქნება?

10) ნასწავლნო, იცით იმ ზომამდე ზედ-მიწევნით სახელმწიფო ენა, რომ ყოველგვარი გრძნობა, ალერსი და მოფერება თქვენს პაწიებთან გამოჰხატოთ?

11) ნუ თუ გგონიათ ოფიციალური, მშრალი ენა კმარა ბავშვის მრავალგვარ გრძნობათა განსავითარებლად?

12) აბა, რად ეტიტინებით თქვენს პაწიებს აკვანშივე უგრძნობლად და მშრალად შესწავლილ ენაზე?

13) საბავშვო ენად მხოლოდ დედა-ენა შეიძლება იყოს თუ არა თავისს ქვეყანაში, სადაც სხვა საბავშვო ენის მცოდნე არ მოიძებნება?

14) თუ ყოველს ბავშურს გრძნობასა და აზრებს ვერ გაუღვიძებთ თქვენს შვილებს. მაშინ იმათი შინაგანი, სულიერი არსება მახინჯდება თუ არა?

15) თუ გეშინიათ, რომ ექვსის წლის შემდეგ სახელმწიფო ენას ვერ შეისწავლიან? (მე-კი ბევრი ვიცი ისეთები, რომელთაც 10 წლის შემდეგ დაუწყიათ სახელმწიფო ენის სწავლა და ჩინებულადაც იციან, არა უარესად თვით რუსებზე).

17) რა სახარბიელოა ჩვენის უფროსის მეგობრების —რუსებისათვის დედა-ენის დავიწყების, აბუჩად აგდების, გადაგვარებულ ქართველის მეგობრობა?

18) რად უნდა სახელმწიფოს ქართულ სიტყვების ჩართვით დამახინჯებულ სახელმწიფო ენაზე მოტიკტიკე ქართველები?

19) მავნებელია თუ არა ქართველი, მცოდნე სახელმწიფო ენისა, მაგრამ მცოდნე თავის ენისაც და მოურიდებლად მოლაპარაკე მით იქ, სადაც საჭიროება არ მოითხოვს სახელმწიფო ენით ლაპარაკს?

ყველა ამ კითხვის პასუხს ველით დაბალნი, რომელთაც გადავწყვიტეთ მაღლების აზრის შეტყობის შემდეგ ერთ-ერთ გზის არჩევა: ან დავიწყება დედა-ენისა, ან პატივისცემა და სიყვარული მისდამი, რათა ვიქმნეთ ჩვენც პატივისცემის ღირსნი, როგორც არა-რენეგატნი და დამცველნი ბუნებრივ ვარგის თვისებითა, რომელთა დაკარგვაც დამახინჯების მომასწავებელი უნდა იყოს, და არ ჩავვარდეთ იმგვარ სასაცილო მდგომარეობაში, როგორშიაც იმყოფებიან ებრაელები სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში, სადაც უბრალო, გრძელ-ხალათოსანნი ებრაელნი თავიანთ ჟარგონზე (დამახინჯებულ გერმანულზე) ლაპარაკობენ მუდამ და ყოველგან, მაგრამ მოკლე პალტოს ჩაცმისა და თმის გაკრეჭის შემდეგ ძლიერ მორცხვობენ ამ კილოზე ლაპარაკს, და ილაპარაკებენ მხოლოდ ჩუმად, სხვისაგან შეუმჩნევლად, როგორც ჩვენნი მაღალნი, რომელნიც მარტო გლეხებთან და მოსამსახურეებთან რომ კადრულობენ ქართულად ლაპარაკს მაგრამ ის ხომ მართლა სასაცილო ჟარგონია, ხოლო ქართული ენა-კი ჯერჯერობით ენაა ყოველგვარ მოქალაქობრივ უფლებით აღჭურვილი; და მომავალში-კი შეიძლება ჟარგონად გარდაიქცეს, თუ ასე გაჰყვა არევა რუსულ-ქართულისა, როგორც ეს ეხლა სწარმოებს ქუთაისსა და ბათომში (ტფილისისა რა მოგახსენოთ; ამბობენ, იქ სრულიადაც არ ისმის ქართულიო).

იმედია, მაღალნო, გაგვცემთ პასუხს და დაგვაყენებთ გზასა მართალთასა.

ხოლო რათა შემდეგ თქვენის პასუხისა არ დამჭირდეს სამაგიეროს დაწერა, რაიცა ჩემი საპროფესიონალო ხელობა არ არის და ძალიანაც მეძნელება. ჩემს მოსაზრებას თქვენს მოსალოდნელ პასუხზე ამ თავითვე მოგახსენებთ. როცა ერთს მდინარეს უერთებენ მეორეს. უხერხულ მიმართულების აზრით, მაშინ ამ არხში გუბდება წყალი ორისავე მდინარიდგან, ბილწდება და ლპება, ასე რომ ეს წყალი არც პირველ მდინარის წყალსა ჰგავს და არც მეორისას. აი ასეთ არეულ მდგომარეობაში მეგულვით თქვენ, ენის მხრით მაღალნო ქართველნო, რომელთაც გგონიათ, რომ ერის ცხოვრების სათავეში სდგეხართ. თქვენის ქცევით გამოდის, რომ ქართული ენა საჭიროა მხოლოდ ხალხთან საქმის დაჭერის დროს, ან და სპეკულიაციის აზრით ჟურნალ-გაზეთებსა და სცენაზე (აბა რატომ ლაპარაკობთ ქართულად?). სათავეებში წყალი სპეტაკია, ბატონებო, როგორც ერთსა, ისე მეორე მდინარეშიაც, და ორივე მდინარე ერთმანეთს უფრო პატივსა სდებს, ვიდრე არხში დაგუბებულს ნაწილს. ესაა იმედი თქვენგან სამშობლო ენის დამცირების მაყურებელთათვის.

ნიკოლოზა ლაქია.

ჩვენებური ამბები

ფოთი. ფოთში ფოსტა მოდის დილით, 7 საათზე. მოგვხსენებათ, ეხლა ისეთი დროა,

---

რემ მარტო წამალი ვერას გიზამს...—ამბობდა ექიმი და თან სინჯავდა ავადმყოფს...

— გაათავე?—შეეკითხა მღვდელი ექიმს.

— სწორედ, მამაო, მაგრამ მარხვა აუცილებლივ უნდა მიირთვა.

— მარხვის გახსნა მოძღვრისა შენ არ ძალგიძს, შვილო ჩემო! მორჩენა თავისის მონისა უფლის საქმეა... მხოლოდ წამლებით, თუ რამ იცი, მასაზრდოვე, ეგებ ღმერთიც შეგვეწიოს.—სთქვა მტკიცედ მღვდელმა.

ბევრს შეადგნენ მარხვის გახსნის შესახებ, მაგრამ მან ყური არავის უგდო...

დღითი-დღე სუსტდებოდა. შაბათ დღეს თვისი მოძღვარი, მოხუცი მღვდელი ანდრია მოიწვია, გაენდო, აწირვინა თავის ეკკლესიაში, წირვიდგანვე გამოასვენა ბარძიმი მამა ვასილის სახლში შემოსილმა ანდრია მოძღვარმა, აზიარა ვასილი და საღამოზე გარდაიცვალა იგი წყნარად.

III

აფხია ჩარჩმა იყიდა მღვდლის ორივე ძროხა. ამ ფულიდგან მელანიამ დასაფლავებას კიდევ გადაანარჩუნა ორი თუმანი და გაუგზავნა ილოს... ვადაზედ მიიღო ილომ ფული, მაგრამ ელდა ეცა, რომ მამის მინაწერი წერილი არ მიუვიდა... გულმა სევდით დაუწყო ძგერა და რაღაც დარდი იგრძნო საბრალომ.

მეორე თვეს სახლის ავეჯიდგან მოიკლო დედა მელანიამ გაყიდა და კიდევ დროზე გაუგზავნა ილოს ორი თუმანი. აქ აცნობა მამის გარდაცვალებაც.

ხუთი წელიწადი იყო ილო საექიმო ფაკულტეტზე მოსკოვში. აქამდის დაათავებდა, მაგრამ უწესოებამ შეუშალეს ხელი. მეტად ხელ-მოკლეთ ცხოვრობდა მამის ორი თუმნით თვეში. საჭმელსაც იკლებდა, სასმელსაც... სწავლას და წიგნებს კი გაშმაგებით ეძებოდა. ყველა-კი პატივისცემით შესცქეროდა ამ საქმიან სტუდენტს. მხოლოდ ჯან-საღი და ახოვანის ტანის ილო თანდათან სუსტდებოდა, ბოლოს ძვალ-ტყავად გადაიქცა და ხველაც შეეპარა.

მელანია ჰყიდდა, რაც ხელ მოსაკრავი ჰქონდა ოჯახში და თვეში ორ თუმანს არ აკლებდა საყვარელ შვილსა. მამის დარდმა და გაჭირვებულმა ცხოვრებამ ბოლოს მოსტეხეს ილო: ლოგინში ჩააწვინეს. მოწვეულმა ექიმ-პროფესორებმა უიმედოთ სცნეს მისი ჯან-მთელობა და გადაუწყვიტეს: დაუყოვნებლივ წასულიყო სამშობლოში... თბილი ჰავა გამოგაყენებსო».

IV

გაპარპაშებულ ექიმის მაგიერ ერთ დღეს მელანიას გაძვალტყავებული ილო მოადგა კარს. მკერდი-მკერდს ჩააკრეს დედა-შვილმა და ცხარე ცრემლები, ჰღვარეს... შეგროვდნენ მეზობლები გლეხკაცობა, რომელნიც ილოს გატაცებით უყვარდა... ყველა ანუგეშებდა დედაშვილთ. ცოტახანს უკან საყვარელ გლეხკაცებთან და დედასთან ლაპარაკმა იმედიც კი მისცა ილოს მშობლიო ჰავის ჯანაოზობაზედ—თუმც ექიმი იყო და თავისი საქმე შეგნებული ჰქონდა...

მოვიდა იმ სოფლის ქსენონის ექიმიც, რომელიც მოსკოვშივე იცნობდა ილოს და პატივსა სცემდა, როგორც იდეით და აზროვნობით აღფრთოვანებულს სტუდენტს... კაი ხნის ლაპარაკის შემდეგ საერთო ნაცნობთა და საქმეთა შესახებ—ილოს ჯანმრთელობაზედ და წამლებზე გადავიდა ლაპარაკი... აქ-კი მწარედ გადახედა ილომ შეგროვილ გლეხ-კაცებს, მეზობლობას და წარმოსთქვა:

— არც თქვენ გქონიათ, ძმანო, ბედი, არც მე... მინდოდა მემუშავნა თქვენთან ერთად ბედკრულ ცხოვრების გამოსაკეთებლად, ვხედავ, ყველა ეს ოცნებად დარჩება..

— ღმერთია მოწყალე, ფარეხობა და მოვლა მალე დაგაყენებს ფეხზე—უთხრა ხალხმა. როცა წალას ჯლანვა-დაკერება დასჭირდება, მაშინ წასულაა მისი საქმე, — ასეა — ჩემიც, უპასუხა მწარედ ილომ. მალე იმავე ლოგინში და იმავე ტახტზედ, სადაც მამა ვასილმა განუტევა სული, იწვა ლოგინში გარჩეული ილოც... სწამლობდა ბეჯითად ექიმი. წამლების სმით მობეზრებულმა ილომ, ერთხელ გადაყარა იგინი და შესძახა ექიმს:

— მომაშორე ეს წყეულები—მაცალე დამშვიდებით მოვკვდე! ექიმი ამშვიდებდა, ილოს შერცხვა თავის უმადურობისა თავ-განწირულ ექიმის წინაშე, იბოდიშა და როდესაც ექიმი პირდაპირ დაუჯდა სკამზე, ასე ალაპარაკდა:

— ლპებოდეს სიცოცხლით ადამიანი! დღითი-დღე უახლოვდებოდეს სიკვდილს! ოჰო, რა საშინელებაა ეს!... თვით სიცოცხლეც-კი შეუბრალებ ტანჯვა და ვაგ-ვიშია, სწორედ რომ ვიწრო და უბადრუკ გალიაშია მომწყვდეული ადამიანის ძალუმი სული! უბედურად შეჰკვრობია მას და საცოდავათ იტანს მის უძლურებას, მის ტკივილს... რა ფასი აქვს ძალუმ სულის კვეთებას, აღფრთოვანებულ აზროვნებას, გმირულს წადილებს, როდესაც შესაძლოა ფრჩხილებიდგან შეგეპაროს სიდამპლე და გაქციოს უმგზავს ცხოველად, რომელიც ჰზმუი და ჰკვნესი ტკივილებისაგან... შემოქმედო! რად მოათავსე ღვთაებრივ-შემძლებელი სული უბადრუკ სხეულში?! მართლა რომ მასხარად აგდებაა ეს! მით მომეტებულ, რომ ჰხედავ და ჰგრძნობ, როგორ დღითი-დღე ეყმობა სული ხორცს და ეს ყმობა ისეთ ნაზ სიყვარულზედ გადადის დღითი-დღე, რომ ჯალათად და მტანჯველად იხდის მას მთელ თავის სიცოცხლეში. მის ტანჯვით სიამოვნებს... იგი ყურს უგდებს მის ყოველ წადილს, უბრალო მოთხოვნილებას!.. ულოლიავებს, დასტირის, თავს ევლება! უბედურობა ისაა, რომ, როდესაც სულის მხსნელი სიკვდილი ესტუმრება, იგი ტირის, შეჰღაღადებს, რომ არ განაშოროს ჯალათს, მტარვლის ხვევნა-ხახუტვას!.. წამალი?! რა წამალია ამის შემდეგ საჭირო, ჩემო ექიმო?

— სული... სული... ილო! არსებობს იგი?!... ფსიხოლოგია ფიზიოლოგიასთან შეაერთა მეცნიერებამ, ქიმია ფიზიოლოგიას უერთდება ლამის...—სთქვა ყოყმანით ექიმმა.

— არა, ჩემო ექიმო! დღესაც შემეცნებულ ადამიანისათვის ფსიხოლოგიურნი საკითხნი დაშორებულ არიან ფიზიოლოგიას. და როგორც ცრუა ქიმიკოსის მისწრაფება, რომ ფიზიოლოგია გახადოს ნაწილად ქიმიისა, ისე სტყუდება ფიზიოლოგი, როცა ჰგონია ფსიხოლოგია თვის მეცნერების ნაწილად გაიხადოს... მე მრწამს, რომ სული აღფრთოვანებდა ჩვენს ერს მის ბედნიერ დროს!. დაკნინება და დაჩაგვრა სულსა სტანჯავს. მრწამს, რომ უბირ მამა ჩემს, მღვდელს, ძალუმი სული ჰქონდა ადამიანად... მრწამს, რომ ჩემი იმედების წყურვილით გატაცებული სულიც მალე შეუერთდება იმ მამაჩემის და პაპის სულს, რომელთაც ხორცის ვნებანი მუდამ ჩაღად მიაჩნდათ!.. ჰაერი!.. ჰაერი!.. ვიღრჩობი,—ამოიკვნესა ილომ და ამოუვიდა სული..

—

ოთხად მოკაკული მისდევდა დედა მელანია კუბოს, რომელიც შეამკო უკანასკნელ გროშით... უყიდა სუდარა, პირს დააფარა თავისი ბაღდადი... წაიღე, შვილო, საუკუნო სახლშიო... ყველაფერს შენ გაძლევ, მე არას ვინარჩუნებ... შენდობის ქაღალდიც დაადეთ გულზედ, შუბლზედ ანგელოზ-ნახატი ლენტი... ყველაფერში ფასია მიცემული... მამას ახლო მიუწვინეთ... მეც მალე მოგიწვევბი, შვილო!—ამბობდა მელანია და აღელვებდა ხალხს...

— სწორედ რომ იგივე სული მამა ვასილისა, რომელიც ასე ჯიუტობდა მარხვის ჭამაზედ, სუფევდა ილოს სხეულშიაც... სული ძალუმის მისწრაფებით, რომელიც მხოლოდ ამშვენებს ადამიანს და აცხოველებს ერსაო... —ამბობდა სევდით სავსე ექიმი...

ზაქარია გულისაშვილი.

რომ ყველა გულის ფანცქალით მოელის გაზეთს. მაგრამ ფოთის ფოსტის გამგეს არაფრად ეპიტნავება ხალხის წუწუნი. მინამ აქაურს ფოსტას განაგებდა ბ-ნი ჩიქავა, კორესპონდენციას დილის ათ საათზე ვიღებდით, ასე გასინჯე, ბ-ნ კონკოშვილის დროსაც-კი არ გვიანდებოდა კორესპონდენციის მიღება, მაგრამ ეხლა 12 საათზე და ხშირად პირველს საათზედ ძლივს ვიღებთ. ვსთხოვთ, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ. ა.

—

დ. ჩოხატაური. ისე გახშირდა ამ ჩვენს დაბაში ქურდობა, რომ სწორედ აღარ იციან, რა ჰქნან აქაურმა ვაჭრებმა, რა იღონონ ქურდების ასალაგმავად. მერე ხშირად ისეთსაც ჰქურდავენ, რომელსაც რადაც ორი გროში სიმწრით შეუგროვებია და იმით ჰფიქრობს თავის საქმის გამოკეთებას.

ამას წინად ერთის ვაჭრის დუქნის კარები გაბურღეს და შიგნით დასკვეტი ისე აიღეს; გაიტანეს ფართლეულობა, ბეჭდები და სხვა ამ გვარი ნივთები, ფულად 500 მანეთამდე.

მეორე ვაჭრის დუქნის კარები ამგვარადვე გაბურღეს და წაიღეს ფული აქაც 500 მანეთამდე.

მესამე ვაჭრის დუქანში შეძვრნენ იატაკიდან, გაიტანეს სხვა-და-სხვა საწვრიმალო და ფულად რვა თუმნამდე. ეს უკანასკნელი სხვებთან შედარებით ღარიბი იყო და საქმეც ნასესხების ფულით ჰქონდა დაწყებული, რის ვაი-ვაგლახით შეგროვილი რვა თუმანი ხელიდგან ერთ დღეს-კი გამოაცალეს!..

მეოთხე ვაჭრის დუქანში-კი ერთის ქურდს (ალბად რომ ქურდი იქნებოდა) საკვირველი საქმე მოუვიდა და მახეშიაც თავის-ფეხიანად გაება. ამ ვაჭარს შეგროვილი ჰქონდა ხუთ თუმნამდე და თურმე სავაჭროდ წასვლას აპირებდა. ეს გაიგო ერთ ქურდთაგანს და საღამოს, დუქნის დაკეტვის დროს, შიგ-კი მოქცეოდა, ტახტს ქვეშ. დადგა დუქნის დაკეტვის დროც. დამკეტავს ჩვეულებად ჰქონდა თურმე დაკეტვის დროს იქაურობის დათვალიერება. სწორედ ამ გარემოებამ გამოჰქექა ქურდი და რამდენისამე კაცის თანადასწრებით ტახტის ქვეშიდგან-კი გამოათრიეს ახალგაზდა კაცი... შეუყენეს ოქმი და გაჰგზავნეს ოზურგეთის ციხეში. ჯერ, რა თქმა უნდა, არავინ იცის, რითი გათავდება საქმე. ის-კი გავიგეთ, რომ ზოგიერთი აქაური ცნობილი კაცი შუამდგომლობს მის განთავისუფლებას...

ა, ასეთი ამბებია ჩვენს დაბაში და საჭიროა ყურადღება მიექცეს ყველასაგან, ესე იგი თვით მცხოვრებთაგანაც, რადგან, უეჭველია, მათშივე იმალებიან ქურდები.

გ. ჯვარცხმელი.

—

ფშავ-ხევსურეთი. როცა ფშავ-ხევსურეთზე ვიტყვით რასმე, სხვა ჩვენს ბეჩაობასთან, უეჭველია, უგზოობა და უექიმობაც უნდა დავიჩივლოთ ხოლმე. ერთიცა და მეორეც საჭირ-ბოროტო საქმეებია ჩვენის ხეობისა. ბევრი ადამიანი ესალმება წუთის-სოფელს უდროოდ უგზოობით და უექიმობით. საკმარისია, მგზავრს ფეხი აუცდეს ვიწრო ბილიკს, რომ სამუდამოდ დაიღუპოს სულით და ხორცით, იქნება ცოცხლებმაც ვერ ისარგებლონ იმის ლეშით.

გახდება კიდევ ვინმე ავად, რა რიგი ავადმყოფიც უნდა იყოს, მაშინვე ცხარე არაყს და პილპილს მიჰმართავენ; ერთმანეთში აურევენ და ისე დაალევინებენ ავადმყოფს. ხევსურები ამ ერთად-ერთის წამლის ხმარებას ასე ასაბუთებენ: ცხარე არაყს და პილპილს დიდი ძალა აქვს; როცა ეს წამალი კაცის სტომაქში ჩავა, იქ ავადმყოფობას ომს გამოუცხადებს, მოერევა, რადგან ძლიერია, ავადმყოფობას მოჰკლავს და კაციც მორჩება. ჩვენ, ჩვენის ფიქრით, ამ ხევსურების რწმენას, ასე ავხსნით: ხევსურები წინად მეომარი ხალხი იყო, მაგალითად, მეფე ერეკლე მეორეს თავის მცველად ომში ყოველთვის ხევსურები ჰყვანდა ხოლმე, და ღვთისა წინაშე, არცა ღალატობდნენ და ომიდგან ყოველთვის გამარჯვებულნი გამოდიოდნენ. ეხლაც ხმალ-ხანჯლის ხმარებაში და თოფის სროლაში, არა გვგონია, რომელიმე კავკასიელი ტომი დაებაძოს ხევსურებს; ამათთანა ხალხი ყოველთვის დიდ პატივს სცემს ფიზიკურ ძალას: ვინც და რაც ღონიერი და ძლიერია, ის სასარგებლო და მარგებელია, არაყი და პილპილი ძლიერ ცხარეა, მაშასადამე კაცისთვის მარგებელია, რადგანაც ის ავადმყოფობას მოჰკლავს.

რა უყოთ, ყველანი დროების შვილნი ვართ; ხევსურეთში, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, სწავლა-განათლების მხრივ ბნელი დროა; ოდესმე მეცნიერება თავისს ბრწყინვალე შუქს ჩვენშიაც შემოანათებს, მაშინ ეხლანდელი ხევსურის შვილები და შვილისშვილები დაჰგმობენ თავიანთ მამა-პაპის რწმენებს და ყოველგვარ ავადმყოფობის და სენის წინააღმდეგ ნამდვილ საშუალებას მიჰმართავენ.

ერთ ჩვენ გაჭირვებას,—უექიმობას ბოლო მოეღო: ბ-ნ მაზრის უფროსის მეცადინეობით, ს. ბარისახოში დაგვინიშნეს ფერშალი, ვინმე თურქესტანიშვილი, წარსულ გიორგობისთვიდან, როდესაც ჩვენს ხეობაში საშინელი სიცხეები იყო, ამოვიდა ბ-ნი მაზრის უფროსი; ის ახლად არის დანიშნული ჩვენს მაზრაში და პირველად ამოიარა ჩვენს ხეობაში. ამან გონივრულის თვალით შეჰხედა ჩვენს არა სანატრელ მდგომარეობას და მოისურვა, შეძლებისა დაგვარად, მისი გაუმჯობესობა; ყურადღება მიაქცია უგზოობას და ამოდენა ხალხის ღვთის ანაბარაზე დატოვებას—უექიმობას; და, როგორც ვთქვით, მისი შემწეობით ფერშალი დაგვენიშნა, რომელსაც ებარება მთელი ფშავ-ხევსურეთი; ფერშალს ჯამაგირი ხაზინიდგან ეძლევა; წამლის ფულიც წარსულ ქრისტეშობისთვეშივე მოიკრიფა ხალხში. ფერშალი მოვალეა უსასყიდლოდ ინახულოს ხოლმე ავადმყოფნი.

დაგვრჩა მეორე ჭირი—უგზოობა; როგორც შევიტყეთ, ბ-ნ მაზრის უფროსს ურმის გზის გამოყვანის განზრახვა ჰქონია; უნდა თურმე გამოითხოვოს მთავრობისაგან ინჟენერი, გზის გეგმის შესადგენად, საჭირო იარაღი და ნაღმი კლდეების სამტვრევად, უბრალო მუშად თვით ხალხი იქნება. მუშაობას გაზაფხულიდგან შეუდგებიან. ჩვენც სულითა და გულით თანავუგრძნობთ ბ-ნ მაზრის უფროსს და ვუსურვებთ განზრახვის შესრულებას. ხალხსაც ძლიერ უხარიან რიგიანის გზის გამოყვანა, ან-კი ვის არ გაეხარდება?

მადლობის ღირსია აგრეთვე ჩვენი კეთილმოწესე მ. იოანე ხატიაშვილი, რომლის სურვილით და მეცადინეობით დაგვიარსდა ს. ბარისახოში სამკითხველო; რა თქმა უნდა, სურვილისამებრ, გარეშეთაც შეუძლიათ ისარგებლონ. ჩვენს ხეობაში თერთმეტი მღვდელი და სამი მასწავლებელია: წელიწადში შეგვაქვს ხუთ-ხუთი მანეთი და შეგროვილის ფულით ვიწერთ ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს. თუმცა ჩვენი სამკითხველო ჯერ-ჯერობით სუსტია, მაგრამ შემდეგში, მ. კეთილმოწესის მეცადინეობით სანატრელ მდგომარეობაში ჩავარდება.

ჩვენში ძლიერ უთოვლო ზამთარია, არცა ცივა; ერთ ხნობით საშინელი ყინვები დაიჭირა, მაგრამ ჩქარა გაიარა. ეხლა საკმარისად თბილა, ასე რომ ახალოხის ანაბარა დაიარებიან.

მიხეილ შამანაური

—

ჭიათურა. ჭიათურის შავი-ქვის წარმოება უკანასკნელ დღეში ჩავარდნილი. დაეცა ქვის ფასი. დღეს შავი ქვა ჰღირს 6½ კ., წითელი 5½ კ. ჭიქოურში და სხვა ადგილებში სულაც არ იღებენ ქვას.

ეს ამბავი გამოიწვია ომის დაწყებამაო, ამბობენ, შესაძლოა ეს მართალიც იყოს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ ფასადაც საკმარი მიმღები არ არის ქვისა. არის ორი სამი კანტორა, იღებს კვირაში გადაჭრით რამდენსამე ათასობით, მეტის მიღება არ შეუძლიან, ან არ უნდათ სულ მიღება. ისიც, უნდა ჰნახოთ, როგორ ქვას იღებენ. ვისაც-კი რამე გაეგება ქვისა, სწორედ გაკვირებული რჩება, თუ რა ხელს აძლევს გამყიდველს ამისთანა ქვის ამ ფასად აღება. მაგრამ არც ეს არის გასაკვირალი, რადგან იძულებულია, უნდა იმუშაოს. ამიტომ ზოგს ადგილის მეპატრონეს აკლებენ არენდის ფულს, ზოგს ჩალვადარს და ზოგს - მუშებს და ამითი იოლად მიდიან, კიდევ კარგი, თუ ყოველ კვირას კანტორებში ფული იქნება, მაგრამ არც ეს არის. არიან ისეთი კანტორები, არამც თუ ახალი კვირის ფული მისცენ, არამედ ერთის წლის ფულიც-კი დარჩენილია კანტორებზედ. ახლა ის იანგარიშეთ, მეიჯარადარეთა ჯიბეშიაც რამდენია გაჩერებული მუშის ფული! ან რა ჰქნას, რომ არ იმუშაოს? ეუბნევიან, იმუშავე ჩემთანა და ახალს და ძველს ერთად მიიღებო. მუშაც იძულებულია ძველის მიღების იმედით კიდევ იმუშაოს. ბევრჯელ მომხდარა, ძველს ახალი მიემატოს და ორივე დავიწყებაშია დღესაც. ასეთია ჭიათურის მუშების მდგომარეობა.

მართალია, არიან ისეთნი მოიჯარადრენი, რომელნიც ყველას პირიანად უსწორდებიან, მაგრამ ამდენი მუშა ხომ ერთ კაცთან ვერ იმუშავებენ, ან სად ექნება იმდენი სამუშევარი.

ამ სახით, ჭიათურაში დიდი კრიზისია დღეს ჩამოვარდნილი. ღმერთმა ნუ ჰქნას, ამ კრიზისმა დიდ ხანს გასტანოს, თორემ ბევრი შიმშილით ამოწყდება და იმედით და ლოდინით, აი დღეს მოემატება ფასი ქვას, აი დღესაო. თუ შიმშილი არ უნდათ, უნდა გაჰბედონ და სხვა რამ საშუალებას მიჰმართონ და სხვაგან წავიდნენ სხვა საქმის დასაჭერად.

ერთი დრო იქნება, ჭიათურის წარმოება მთლად დარჩება მსხვილ მწარმოებლებს, რადგან სუსტი მოიჯარადრენი ვერ შესძლებენ უზომო ხარჯების ატანას და იძულებულნი იქნებიან, თავი დაანებონ მუშაობას. მერე უბედურება კიდევ ის არის, რომ ხმაა, ვითომ გადაუწყვეტიათ, ნება არ მიეცეს იმათ, ვისაც ათ ქცევაზედ ნაკლები შავი ქვის ალაგი აქვს, იმუშაოს.

ამისთანეები ათიც არ მოიპოვება მთელ ჭიათურაში. თუ ეს მართალია, რაღა ეშველებათ ამდენ წვრილ იჯარადართ. ისინი იძულებულები იქნებიან, თუ ვისმე დარჩენია ალაგები, ისიც დიდებს მიჰყიდონ ამითი მოისპობა წვრილ მწარმოებლების წარმოება, გადავა დიდების ხელში და ამდენი კაცი დარჩება მშიერ-მწყურვალი.

ნ. დ. ნ—ძე.

თეატრი და ხელოვნება

«ღალატი» პარიჟის სცენაზე. როგორც რუსული ჟურნალი «Театръ и искусство» გადმოგვცემს, ამ დიდ მარხვის დამდეგს პარიჟში გამოჩენილი არტისტი ქალი სარა ბერნარი თავის საკუთარს თეატრში წარმოადგენს ჩვენი თანამემამულის თავ. ალექსანდრე სუმბათაშვილის პიესას «ღალატს». ამ პიესისთვის სარა ბერნარი, თურმე, დიდს მზადებაშია. ზეინაბის როლს თვითონ თამაშობს. პირველ წარმოდგენისათვის სარა ბერნარს მოუწვევია თვით ავტორი, რომელიც ამ დღეებში კიდეც გაემგზავრება პარიჟში და ხელმძღვანელობას გაუწევს პირველს წარმოდგენებს.

—

პირველი ქართული საღამო ჟენევაში. როგორც „ცნობის ფურცელს“ ატყობინებენ ქ. ჟენევიდგან (შვეიცარიაში), იქაურ ქართველ ახალგაზდობას გაუმართავს ქართული საღამო ეროვნულის ცეკვა-თამაშობითა და სიმღერა-გალობით. ხალხი ბლომად დასწრებია დიდძალი მოსწავლეებიც იყო თურმე.

—

«ღალატის» წარმოდგენა სახალხოდ. დღევანდლამდე «ღალატი» თუ წარმოუდგენიათ ჩვენს სცენაზე, ფასები მუდამ აწეული იყო და მდაბიო ხალხს არ ემარჯვებოდა დასწრება ეხლა ქართველ მსახიობთა ამხანაგობას გადაუწყვეტია, ამ შაბათს წარმოადგინოს «ღალატი» ძრიელ დაკლებულის ფასებით.

დეპეშა

რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 მარტი.

მუკდენი. (სამხედრო). «ცნობა ნაღმიანის გემის «სკორის» დაღუპვის შესახებ პორტ-არტურის ნავთ-სადგურის შესავალში, სიმართლეს მოკლებულია. გენერალ-მაიორი ფლუგი“.

ოდესა. გემ «ვორონეჟით» მოდიან ავადმყოფნი მეზღვაურნი, რომელნიც ნაგასაკის რუსთა საავადმყოფოში იყვნენ და აგრეთვე მთელი საავადმყოფოს ამალა. როდის მოვლენ „ვარიაგისა“ და «კორეეცის» მეზღვაურნი, ნამდვილად არ იციან.

ლონდონი. („რეიტ. სააგ».). წარმომადგენელს ბასსი ჰქონია იაპონიის მინისტრად ყოფილ სუემატსუსთან, მარკიზ იტოს სიძესთან. სუემეტსუს, სხვათა შორის, უთქვამს, იაპონია ანგარების გულისათვის არ ომობს; საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი და შეერთებული შტატები ისარგებლებენ იაპონიის ბრძოლით, რომელსაც აქვს სახეში უზრუნველ-ჰყოს პოლიტიკა თავისუფალის ვაჭრობისა და ხელშეკრულობათა სავალდებულო აღსრულება. ის ეჭვი, ვითომ იაპონიას იმედი აქვს ინგლისის ჯარისა და ფლოტისა, უსაფუძვლოა; იაპონია ჯარით შემწეობას არ დაეძებს.

ტოკიო. („რეიტ. სააგ“.). იმპერატორმა მემკვიდრის თანადასწრებით გახსნა არა-ჩვეულებრივი სესია პარლამენტისა და სთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა: «პირობით შეკრულ სახელმწიფოებთან დამოკიდებულება თანდათან უფრო გულითადია; მთავრობას რუსეთთან მოლაპარაკება ჰქონდა, მაგრამ, რადგან რუსეთის მხრივ გულწრფელობა არა სჩანდა, ჩვენ იძულებულნი ვიყავით იარაღისთვის მოგვეკიდნა ხელი საქმის გადასაწყვეტად; ეხლა შეჩერება შეუძლებელია, სანამ ომი თავისს ნაპირს მიაღწევს“. იმპერატორმა სახელმწიფოს სადიდებლად სთხოვა და დაარწმუნა პარლამენტი, რომ მთავრობის ფინანსიური პროგრამა დაამტკიცოს.

სტამბოლი. («კორეს. ბიურო»). პორტამ არ მოუცადა გადაეცათ იმისთვის გეგმა ჟანდარმერიის გადაკეთებისა და დღეს გადასცა ელჩებს ნოტა, რომელშიაც ვრცელი პასუხია უცხოეთის კომისიის მოთხოვნილებაზე ჟანდარმერიის გადაკეთების შესახებ. კომისიის ზოგი წინადადებანი მიიღო პორტამ, ზოგი-კი, უფრო არსებითნი, უარ-ჰყო. ელჩების პასუხი, რომელნიც თხოულობენ სრულს რეფორმებს, ხვალ ჩაბარდება პორტას.

8 მარტი

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობები შორეულ აღმოსავლეთიდან დღეს არ მიუღიათ.

ირკუტსკი. 7 მარტს, ღამით, საგანგებო მატარებლით ირკუტსკზედ გაიარა დიდმა მთავარმა ბორის ვლადიმირის ძემ, რომელსაც მიჰყვება გუბერნატორი და ქალაქის მოურავი.

ამავე მატარებლით წავიდა ბაიკალში მთავარი უფროსი ამ ქვეყნისა.

სეული („რეიტ. სააგ“.). კორეის იმპერატორს აზრადა აქვს, მარკიზ იტოს წასვლის შემდეგ, იაპონიაში გაჰგზავნოს საგანგებო ელჩი ჰფიქრობენ, პრინც იჩივანს გაჰგზავნისო. მარკიზი იტო დღეს მიიღებს გარეშე სახელმწიფოთა წარმომადგენლთ.

ტოკიო. („რეიტ. სააგ“.). მთავრობა, ალბად, წინადადებას მისცემს პარლამენტს, რომ ნავთზედ ბაჟი მოუმატოს, მაგრამ განსაკუთრებულს ბაჟს-კი არ დააწესებენ, რომ რუსეთის ნავთს ზიანი მისცეს, რადგანაც რუსეთის ნავთის აღებ-მიცემობა იაპონიაში სულ ინგლისელ ვაჭართა ხელშია. ამბობენ, რომ წინადადებას მისცემენ პარლამენტს. არ შესცვალოს ბაჟი შაქარზე და დაადგინოს იმაზედ მხოლოდ გარდასახადი.

ვაშინგტონი. („რეიტერის სააგენტო“). იაპონიის ელჩის შუამავლობით მთავრობამ მიანდო პეტერბურგში მყოფს ამერიკის ელჩს მაკ-კორმიკს,—სთხოვე რუსეთის მთავრობას, რომ დახმარება აღმოუჩინოს ციმბირში მყოფ იაპონელებს, დაახლოვებით 50 კაცს, რომელნიც ომში მონაწილეობას არ იღებენ, რათა ბერლინში მიიყვანონ როგორმე, სადაც თვით იაპონიის მისსია იზრუნებს იმათთვის.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

პეტერბურგის ბირჟა

5 მარტი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	45,87½
პარიჟში 100 ფრანკში	37,37 1/
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,65
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	93⅛ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	91¼ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	360 წერ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	302½ წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	262¼ ნის. გაყ
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	87⅝ ნის. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	87½ წვ. გაყ.

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 11) შუადღე ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამ შაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2. საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 3 წ

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

მამული

უნდათ იყიდონ ვერაზედ და სოლოლაკში, 300—400 ოთხ-კუთხი საჟენი; რის ნაკლებაც არ შეუძლიანთ პატრონთ გაჰყიდონ, აცნობონ ტფილისის ქალაქის გამგეობაში, სამოსწავლო კომისიის საქმის მწარმოებელს 1-ლს განყოფილებაში, 20 მარტს.

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და ივალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიური გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ხალხი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

გულივერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16 გვ
ფასი 30 კაპ.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!
ჰიგიენური
ბორნო-ტიმოლის საპონი
პროვიზორის
გ. ფ. იურგენსისა.

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს,—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში. უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (24—8)



Парфюмерiя
„Шампака“
Духи, мыло и цвѣточный одеколонъ
Т-ва А. Ралле и Ко

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ქაჯანა

Дозволено цензурою Тфлисъ 8 мартъ 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ арм. домъ, семиарiи.